კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში ვაკის გამგეობის ტერიტორიაზე ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2013 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

ჰენრი დოლიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი ბეზარაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

აკაკი კობალაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

რამაზ ლომინაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ზურაბ ბარათაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი -აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კონსტანტინე დიხამინჯია – საკონკურსო კომისიის წევრი - ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ, კონკურსის მეშვეობით ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 20 სექტემბერს (11:58 სთ) გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების №963) კონკურსზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა და შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის, საფინანსო – ეკონომიკური განყოფილების მთ. სპეციალისტის ნათელა ელიზბარაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე (2013 წლის 07 ოქტომბრის 12:00 საათამდე) მხოლოდ ერთი კონკურსანტის - ი/მ „ვახტანგ ზესაშვილი"-ს მიერ იქნა წარმოდგენილი საფასური და საკონკურსო წინადადება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4

მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე არ ექვემდებარება განხილვას.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი, რომელშიც მითითებული არ არის საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხორციელდეს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაცია.
2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.
3. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაციის შესახებ შეტყობინება გაეგზავნოს ი/მ „ვახტანგ ზესაშვილ"-ს.

კომისიის თავმჯდომარე **ჰენრი დოლიძე**

კომისიის წევრი: **გიორგი ბეზარაშვილი**

კომისიის წევრი **აკაკი კობალაძე**

კომისიის წევრი **რამაზ ლომინაძე**

კომისიის წევრი **ზურაბ ბარათაშვილი**

კომისიის წევრი **თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი**

კომისიის წევრი **კონსტანტინე დიხამინჯია**